

„ აჩუქე ქართული “

ხატია ხატიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტ ზემაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი

კურსის ხელმძღვანელი: მიხეილ თუთბერიძე, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი , 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია ხატიაშვილი

26.06.2020

აბსტრაქტი

ტექნოლოგიების ეპოქაში, *იმისთვის*, რომ კომპანიის საქმიანობა იყოს წარმატებული მნიშვნელოვანია მომხმარებელთა საჭიროებებზე, მათ სურვილებსა და ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება და ადამიანებისთვის ისეთი პროდუქციის ან/და მომსახურების შეთავაზება, რომელიც მათ კმაყოფილებას და საბოლოო ჯამში, კომპანიისა თუ პროდუქტისადმი ლოიალობის გაზრდას შეუწყობს ხელს. არ აქვს მნიშვნელობა პატარა ადგილობრივი მაღაზიის თუ დიდი ეროვნული კომპანია, სოციალური მედია არის ბიზნესის მარკეტინგის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი. სოციალური პლატფორმები ეხმარება კომპანიებს დაუკავშირდეს მომხმარებლებს, გაზარდოს ბრენდის შესახებ ინფორმირებულობა და შესაბამისად გაყიდვებიც. ვებსაიტის შექმნა გულისხმობს, რომ მომხმარებლებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს და ადგილზე იპოვონ კომპანია. მისი საშუალებით გამარტივებულია მყიდველებსა და გამყიდველებს შორის კომუნიკაციის სწრაფი და მარტივი გზა. ვებ-გვერდზე შესაძლებელია განთავსდეს გახსნის საათები, საკონტაქტო ინფორმაცია, ადგილმდებარეობა ან პროდუქციის სურათები და საკონტაქტო ფორმები პოტენციური მომხმარებლების მიერ გამოკითხვის გასაადვილებლად. ისევე, როგორც უბრალოდ ინფორმაციის საჩვენებლად, ვებ-გვერდი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, მომხმარებლისთვის პირდაპირ საქონლის მისაყიდად, რაც დიდი კომფორტია, როგორც გამყიდველისთვის, რომელიც ამ გზით ამცირებს ხარჯებს, ასევე ნებისმიერი მომხმარებლისთვის, რომელსაც შემცირებული ფასები და უამრავი დრო რჩებათ. მობილურ აპლიკაციები 21-ე საუკუნეში სულ უფრო პოპულარული და მოთხოვნადი საშუალება ხდება თანამედროვე ბიზნესისთვის. ხშირ შემთხვევაში ისინი უფრო მოსახერხებელია მომხმარებლისთვის ვიდრე ვებ-გვერდი. დღეს ადამიანი ვალდებულია, ტექნოლოგიების განვითარების ტემპს აჰყვეს და მისი ჩარჩოდან არ ამოვარდეს. ტექნოლოგიებმა შეამსუბუქა ადამიანის შრომა, დღითიდღე იხვეწება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება და ის ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი ხდება.

სამაგისტრო ნაშრომი ეფუძვნება ინფორმაციული ტექნოლოგიების სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო სტატიებსა და ინტერნეტ ბმულებს. აჩუქე ქართულის“ მიზანია ხელი შეუწყოს ქართული პროდუქტის რეალიზებას, შესაბამისად ქართული ეკონომიკის ზრდას და ამასთან ადამიანებს დაეხმაროს იმ მუდმივ გაურკვევლობაში რომელთანაც იკვთებიან, როდესაც ვინმესთვის გადაწყვეტენ საჩუქრის ჩუქებას. ნაშრომისთვის “Google Forms” _ ის გამოყენებით შედგენილი კითხვარით და “Facebook” სოციალური ქსელის დახმარებით ჩატარდა კვლევა, რომელმაც დაადგინა მომხმარებლისთვის სასურველი საჩუქრები ასაკის, პროფესიის და ინტერესების მიხედვით. შედეგები დაიყო მთავარ და მეორეხარისხოვან კატეგორიებად.

საბოლოოდ კვლევისთვის ვექტორული ფიგურების დახმარებით შეიქმნა აპლიკაციის დიზაინი Adobe Illustrator პროგრამაში, ხოლო მეტი თვალსაჩინოებისთვის მისი პროტოტიპი გაერთიანდა Adobe XD_ ში. გარდა ამისა Adobe Photoshop_ით დამუშავდა ნაშრომში არსებული ყველა სურათი, html5, css3, bootstrap, javascript ტექნოლოგიებით აეწყო ვებ საიტის ესკიზი. ნაშრომს თან ერთვის ვებ-საიტის ესკიზი და მობილური აპლიკაციის დიზაინი რაც შეეხება, კვლევის შედეგად მიღებულ კატეგორიებს, ისინი განთავსდა ორივე მათგანის მთავარ და შიდა გვერდებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საჩუქარი, Adobe Illustrator, Adobe XD , Adobe Photoshop , Html5, Css3 და Bootstrap .

Abstract

In the century of technology, in order company's business to be successful, it is important to make decisions tailored to the needs of the customers' needs and interests, and offering them products and / or services that will satisfy them and ultimately increase loyalty

to the company or the product. It doesn't matter if it's a small local store or a large national company - social media is an important part of the business marketing strategy. It enhances business visibility among potential customers and allows the company to reach a wider audience. Creating a website means that customers can find the company at any time and place. It simplifies the quick and easy way of communication between buyers and sellers. Website opening hours, contact information, location or product images and contact forms can be posted on the website to make it easier for potential users to survey. Besides simply displaying the information, the website can be used to sell goods directly to the customer, which is a great convenience for both the seller who reduces costs and for any customer who has reduced prices and plenty of time left. Mobile applications are becoming increasingly popular and in demand in the 21st century for modern business. In many cases, they are more convenient for the users than the websites. Today, people are obligated to follow the pace of technological development and not to fall out of its framework, technologies have alleviated human labor. The use of information technology is improving day by day and it is becoming an integral part of our daily lives.

The master's thesis is based on information technology textbooks, blogger articles and internet links. The purpose of the "Gift Georgian" is to promote the sale of Georgian products, and thus the growth of the Georgian economy, as well as to help people in the constant uncertainty who face difficulties while deciding to choose a gift for someone. The study was conducted with the help of Google questionnaire and social network Facebook, that determined the category of the desired gifts for the customer according to the age, profession and interests.

Results were divided into main and secondary categories and posted both on the site and the app. With the help of vector figures, the design of the application was created with Adobe Illustrator program, and for more visibility, its prototype was combined in the Adobe XD. Furthermore, all the images in the paper were processed in Adobe Photoshop and finally, with html5, css3, bootstrap, java-script technologies a sketch of the web application was made. The paper is accompanied by sketches of the web application and the mobile application. In

the future, it is planned to create mobile applications for iOS and Android platforms, as well as to create a web application using modern programming technologies.

Key words : Gift, Adobe Illustrator, Adobe XD , Adobe Photoshop , Html5, Css3 და Bootstrap

სარჩევი

სარჩევი	v
სურათების სარჩევი.....	vi
შესავალი.....	1
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
1.1 ინტერნეტ სისტემის განვითარება.....	8
1.2 დინამიური დოკუმენტის ობიექტის მოდელის შექმნის ტექნიკა, ვებსაიტების დასაცავად ინფორმაციის ავტომატური გადაწერისგან	10
1.3 იდეალური საჩუქარი.....	12
1.4 თვალსაჩინო საჩუქარი: როდის და რატომ აფასებენ ქალები (არ აფასებენ) მამაკაცის რომანტიკულ მდიდრულ საჩუქრებს.....	14
მეთოდოლოგია.....	16
2.1 პრობლემის დასმა და რეალიზება.....	16
2.2 გამოყენებული ტექნოლოგიები.....	20
2.3 დანერგვის გეგმა.....	45
2.4 ვებ-აპლიკაციის ესკიზის ანალიზი.....	48
2.5 მობილური აპლიკაცია “აჩუქე ქართული”	88
დასკვნა.....	93
ბიბლიოგრაფია.....	93